პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 შაბათი 6 აგვისტო № 182 (16922) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ზრომითი იწრთობა ახალგაზრდობა

დამიანის ჩამოყალიბებაში უდიდესია როლი სწავლისა წიგნით, თუ მას განუყრელად თან ახლავს სწავლა შრომით. სავსებით ბუნებრივია, რომ უფროსკლასელთა საზაფხულო შრომას უწოდებენ მეხუთე მეოთხედს, სტუდენტი ახალგაზრდობისას — მესამე სემესტრს, ესე იგი სწავლის გაგრძელებას შრომით. ამიტომაც მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის საზაფხულო შრომას არა მარტო მატერიალური დოვლათის შექმნის, არამედ აღზრდის დანიშნულებაც აქვს.

ხუთწლედის დამკვრელურ ობიექტებზე სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მუშაობას რომ შეეხო სკკპ XXV ყრილობაზე თავის მოხსენებაში, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა: „ჩვენ ყველამ ვიცით, როგორ მიილტვის იქითკენ ახალგაზრდობა. ეს რაზმები ხომ უზარმაზარ საქმეს აკეთებენ. მეცხრე ხუთწლედში მათ შეასრულეს დაახლოებით 5 მილიარდი მანეთის სამუშაო. შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასოთ მათი, როგორც შრომითი აღზრდის სკოლის, მნიშვნელობა“.

მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის წლევანდელი საზაფხულო შრომა განსაკუთრებულია. ყველგან სუფევს საყოველთაო-სახალხო შრომითი აღტკინების ატმოსფერო, მომავლის დიდი ქარტიის განხილვით წარმოქმნილი და ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წლით გამოწვეული. ამიტომაც ჩვენ ქვეყნის თითქმის 700-ათასიანი სტუდენტთა საზაფხულო შრომითი არმია ამ საიუბილეო წლის სახელობისაა. ამ არმიის გვარდიულ შენაერთებად შეიძლება წარმოვიდგინოთ საქართველოს სტუდენტთა რაზმები, როგორც რესპუბლიკაში, ასევე საკავშირო ობიექტებზე რომ ეწევიან პაძკაპურ შრომას და შრომითვე სწავლობენ.

თითქმის ყოველდღე მოდის რედაქციაში, და არა მარტო ჩვენს რედაქციაში, ფოსტა რესპუბლიკისა და საკავშირო ობიექტებიდან, ენთუზიასტი სტუდენტი ჭაბუკებისა და ქალიშვილების გულისხმა რომ მოაქვს. ისინი უპატაკებენ სამშობლოს, საქმით — შრომით და სწავლით უპასუხონ ახალი კონსტიტუციის პროექტში ოქროს ასოებით ჩაწერილ შრომისა და განათლების უფლებებს, არასოდეს არ დაავიწყონ დიადი ოქტომბრის მონაპოვარ ამ უფლებებს მოქალაქეობრივი მოვალეობებიც, აგრეთვე პროექტში ჩაწერილი, იგრძნონ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, კეთილსინდისიერად ახადონ თავიანთი ვალი სახელმწიფოს წინაშე.

ეს მაღალი შეგნება კარგად გამოხატა რედაქციაში გამოგზავნილ თავის წერილში კომუნისტმა, სმოლენსკის ოლქის როსლავლის რაიონის ხოფელ ლიპოვკაში მომუშავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმ „აჭარის“ ექიმმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტმა რ. მაღლარიამ: საბჭოთა სკოლისა და ლენინური კომკავშირის აღზრდილი საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობა ჩაბმულია სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში, რათა ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის იუბილეს.

ნაამყოფა, სასიამოვნოა, რომ რაზმს (მეთაური — მეხუთეკურსელი წარჩინებული სტუდენტი კომუნისტი ი. თურმანიძე, კომისარი — ი. ქვლოვიძე) შორეთს თან გაჰყოლია ჩვენს რესპუბლიკაში დაჭრილები ახალი სიცოცხლისა კაბიტალსნება, კეთილსინდისიერება, და შრომაშიც, ყოფაშიც აღგილმგრივ მცხოვრებთა სიმპათია და სიყვარული მოუპოვებია.

პიროვნების, მისი თავისუფალი და ჰარმონიული განვითარების პრობლემას ცენტრალური ადგილი ეკავა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მუშაობაში. რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, 1977 წლის 2 ივლისს რომ გაიმართა, ღრმა მარქსისტულ-ლენინური შეფასება მიეცა ადამიანის შეგნების ჩამოყალიბებების, თანაც არა ზოგადად შეგნების, არამედ კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული პიროვნების, კონკრეტული მოქალაქის შეგნების ჩამოყალიბების დასახულ ამოცანას. ეს შეგნება ყალიბდება, იწრთობა და გამოიცდება შინ და გარეთ. ადამიანი ყველგან ადამიანია, მას არსად არ ტოვებს კეთილსინდისიერება და პატიოსნება, რა სიტუაციაშიც, რა წრესა და გარემოებაშიც უნდა მოხვდეს. მისთვის მთელი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო ერთი მთლიანი ოჯახია, რომლის წევრიც თვითონ არის. ამ შეგნებით აღმავლობით შრომობენ სტუდენტთა სამშენებლო რაზმები შინაც — საქართველოში, და მეათე ხუთწლედის ისეთ შორეულ დამკვრელურ მშენებლობებზე, როგორიც არის ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, არაშავნადაგიანი ზონის ობიექტები, გაზსადენი „ჩრდილოეთის ნაკეცი“, უსტ-ილიმის სამრეწველო კომპლექსი, ვოლგა-დონის დიდი ქარხანა. 2.670 ჩვენი სტუდენტი მოკავშირე რესპუბლიკებში, ხოლო 5.600 მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში მუშაობს. ამ ქვეყნებიდანაც ჩამოვიდნენ სტუდენტთა რაზმები ჩვენი რესპუბლიკის ობიექტებზე სამუშაოდ. მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის, ჰუმანიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდასაც ემსახურება სტუდენტური შრომითი სემესტრი.

აღსანიშნავია მესამე სტუდენტური შრომითი სემესტრის იდეოლოგიური უზრუნველყოფის მნიშვნელობა. კომუნისტი და კომკავშირელი სტუდენტები თავიანთ შრომითს რაზმებს მუდამ ცხოვრების შუაგულში უნდა ამყოფებდნენ; ლექციები, საუბრები, კულტურულ-მასობრივი და სპორტული ღონისძიებანი ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტი ახალგაზრდობის შრომითს აღზრდას. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოსავალ ინჟინერთა სტუდენტური რაზმი „იბერია“ (მეთაური — კომუნისტი სტუდენტი ვ. წიკლაური, კომისარი — კომუნისტი სტუდენტი ო. ხახაია), რომელიც მესამე ზაფხულია ტაბახმელის ბიოკომბინატის მშენებლობაზე შრომობს და წელს გეგმით 45.000, ხოლო ვალდებულებით 55.000 მანეთის სამუშაოს ასრულებს, შინაარსიანად დახვენებასაც ახერხებს.

რესპუბლიკის თხუთმეტიათასიან სტუდენტურ შრომითს რაზმებს ტოლს არ უდებს მთელი ორასიათასიანი არმია უფროსკლასელი მოსწავლეებისა, მეხუთე შრომითის მეოთხედში უფროსების მხარდამხარ და ხელმძღვანელობით წარმატებებს რომ აღწევენ. გასახარია მოსწავლეთა მოდრეკილება და ინტერესი შრომისადმი. საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობის დელეგატი, თბილისის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი ფ. შატბრაშვილი გვწერს: გვაქვს მოსწავლეთა შრომითი ნამუშევრების გამოფენა „მარჯვე ხელები“. საუკეთესო ნამუშევრებისათვის მოსწავლეები დავაჯილდოდეთ. მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყეს რაიონის ტრაქტორისტს, რაციონალიზატორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს თ. ბიჩინაშვილს. ეს შეხვედრა შრომის ზეიმი იყო. ბავშვებმა სტუმარს საჩუქრად გადასცეს თავიანთი ხელით შეკერილი სპეცტანსაცმელი. მეხუთე შრომითის მეოთხედში გვაქვს შრომითი ოკეანეების ბანაკი „ციხარა“.

შრომა სწავლაა, შრომა აღზრდაა, მოსწავლის, სტუდენტის მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბებისა და ფიზიკურ-სულიერი ჰარმონიის სკოლაა. მოსწავლეთა მეხუთე შრომითი მეოთხედის, სტუდენტთა მესამე შრომითი სემესტრის დიდი მნიშვნელობა ცხოვრებამ ნათლად გვიჩვენა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური რომ კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო შარშან 1976 წლის ზაფხულში რესპუბლიკის სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი ბრიგადების მიერ გაწეული მუშაობისა და 1977 წლის ზაფხულისათვის სამუშაოთა ორგანიზებულად მომზადების შესახებ. ამ დადგენილებაში განალიზებულია მოპოვებული გამოცდილება, ნაჩვენებია მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის, მოქალაქეობრივი წრთობისა და მაღალი შეგნებულობის ჩამოყალიბების კონკრეტული გზები და საშუალებები.

მოსწავლეთა შრომითი გაერთიანებების საკავშირო შეკრების მონაწილეებს რომ მიმართა, აშხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ბავშვთა და ახალგაზრდათა აღზრდა, მოზარდი თაობის მოამზადება ცხოვრებისა და შრომისათვის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, კომკავშირის, საბჭოთა სახელმწიფოს, კოლმეურნეობების, ყველა შრომელთა საწარმოო კოლექტივების მუდმივი ზრუნვის საგანია“.

ეს თვით დღევანდელობის, ცხოვრების მოთხოვნაა.

საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

ხუთწლედის ადამიანები

კარგი შედეგები

ენგურის ცალულოზა-ქაღალდის კომბინატში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ შედეგებს აღწევს მკინძავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნათელა კვირტია. იგი ავლის ნორმებს სისტემატურად 20-25 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს, ამასთან პროდუქციას აბარებს პირველი წარდგენისთანავე. მოწინავე მუშამ ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის პირველი გეგმა გაანაღდოს დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის.

მუშაობენ ზლოგინის მეთოდით

საქართველოს „შახტმშენის“ ტრესტის გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის კოლექტივმა, რომელსაც ი. კობახიძე ხელმძღვანელობს, ზლობინის მეთოდით მუშაობისას საუკეთესო შედეგებს მიაღწია შახტსაშენებელ ქვეყანაყოფილებს. შორის. ბრიგადამ ნახევარი წლის დაკალება 74 პროცენტის გადაჭარბებით შესრულა. საექსპლოატაციო ტექნიკა სანიმუშო მდგომარეობაში აქვს, შახტმშენებელთა ხელფასი 20 პროცენტით გაიზარდა.

ლანჩხუთის რაიონის მამათის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის № 2 ბრიგადა, რომელსაც ი. კილაძე ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი მოწინავეა კოლმეურნეობაში. აქ წარმატებით შესრულდა წლიური გეგმა, მოიკრიფა 205 ტონა ჩაის ფოთოლი.

სურათზე: ბრიგადის მოწინავე მეჩაიე რუსუდან ჩხაიძე, რომელმაც მოკრიფა 6 ტონა ჩაის ფოთოლი.

ხ. კილაძის ფოტო.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. ჩაუშესკუს მეგობრული შეხვედრა

5 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ყირიმში შეხვდა რუმინეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ნ. ჩაუშესკუს.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ჩაუშესკუმ ერთმანეთს გააცნეს, თუ როგორ სრულდება სკკპ XXV ყრილობის და რუმინეთის კომპარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებები, საკითხები, რომლებიც ახლა ორი პარტიის ყურადღების ცენტრშია.

ამხანაგმა ნ. ჩაუშესკუმ საბჭოთა ხალხს მოფლობა წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისა თვის ბრძოლაში. მან საბჭოთა ადამიანებს უსურვა ახალი დიდი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში. თავის მხრივ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რუმინელ ხალხს მიულოცა წარმატებანი რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

განიხილეს რა ამ მორიგებათა განხორციელების მსვლელობა, რომლებიც მიღწეული იყო ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში 1976 წლის ნოემბერში, შეხვედრის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის კავშირთერთობის, ყველა ძირითადი მიმართულებით საბჭოთა კავშირ-რუმინეთის თანამშრომლობის განვითარების გამო. გამოითქვა ორმხრივი მისწრაფება ყველაფერ გაღრმავონ ურთიერთსასარგებლო კავშირურთიერთობა სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის, კერძოდ, განსაზღვრონ ორმხრივი საწარმოო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის პერსპექტივა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საბჭოს ხაზით დასახულ საერთო ღონისძიებებთან მჭიდრო კავშირით.

გაიმართა აზრთა გაზიარება საერთაშორისო ცხოვრების საკითხებზე. აშასთან აღინიშნა, რომ ის იდეები და კონკრეტული წინადადებანი, რომელსაც ევროპის ხელმძღვანელობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მონაწილე საბჭოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუქარესტის თათბირის 1976 წლის ნოემბრის დეკლარაცია შეიცავს, მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას. მათი განხორციელება არსებითად წასწევდა წინ ევროპაში განიარაღებისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს. გამოითქვა აგრეთვე იმედი, რომ სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ბელგრადის შეხვედრა თავის წვლილს შეიტანს ამ კონტინენტის ქვეყნების მრავალმხრივი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავებაში.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ჩაუშესკუმ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ზოგიერთ საკითხზე. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალური სოლიდარობის შემდგომ განმტკიცებას და კომუნისტური და მუშათა პარტიების თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას მარქსიზმ-ლენინიზმის, ევროპის კომუნისტთა ბერლინის კონფერენციაზე შეთანხმებული პრინციპების საფუძველზე.

შეხვედრამ გულითადი, მეგობრული ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა კავშირის ხმრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, რუმინეთის ხმრივ — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ანდრეი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური მდივნის თანაშემწე კ. მატია. (საკდესი).

ვიეტნამელი სტუმრები გელორუსიაში

მინსკი, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის ჩიონგ ტანის მეთაურობით ჩამოვიდა ბელორუსიის დედაქალაქში.

მინსკის აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ა. სმირნოვი, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ლობანოკი, სხვა ოფიციალური პირნი.

დელეგაციაა მიიღეს ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. მ. მაშეროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ორი მომძე პარტიისა და ხალხის ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას, რომლებიც წლითიწლობით მტკიცდება და ვითარდება. მან მაღალი შეფასება მისცა ვიეტნამელ მშრომელთა ღონისძიებებს სამშობლოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, მშვიდობიან მშენებლობაში.

დელეგაციის მეთაურმა ჩიონგ ტანმა მხურვალე მადლობა გადაიხადა იმ გულთბილი სიტყვების გამო, რომლებიც ვიეტნამელი კომუნისტების, მთელი ვიეტნამელი ხალხის მიმართ გამოითქვა.

იმავე დღეს ვიეტნამელი პარლამენტარები ეწვევიან ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

შემდეგ სტუმრები იყვნენ გამარჯვების ხაზზე და გვირგვინი შეამკეს საბჭოთა არმიის მეომრებისა და პარტიზანების მონუმენტი-ობელისკი. მათ წუთიერი დუმილით პატივი სცეს საბჭოთა მეომრების ხსოვნას.

სიახლენი

უმაღლესი ხარისხისაკენ

ტალინის სამკერვალო გაერთიანება „ბალტიკის“ უკანასკნელი სიახლე უბრალოდ მორიგი ნაწარმი როდია, რომელიც ხარისხის სახელმწიფო ნიშნით აღინიშნა. რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა ატესტაცია მისცეს პროდუქციის 600 სახეობას და ვადამდე შეასრულეს საიუბილეო წლის სოციალისტური ვალდებულებათა ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი.

ოქტომბრის იუბილესათვის

რიგა. საკავშირო ფირმა „მელოდიის“ რიგის გრამფირფიტების ქარხანამ გამოუშვა ხანგრძლივსაკრავი ფირფიტების სერია.

მათ შორის არის ფირფიტა, რომელშიც ნაამბობია სამოქალაქო ომის წლებში ლატვიის წითელ მსროლელთა საბრძოლო გზაზე, გმირ ლატვიელებზე — იან ფაბრიციუსზე, ედუარდ ბერზინზე. გრამფირფიტაზე წარწერილია ყოფილი ჩეკისტის, 1917 წლიდან სკკპ წევრის კარლ დუნცის მოგონებები, რომელიც ვ. ი. ლენინის მცველად იყო გორკაში.

საბჭოთა კავშირის ჰიმნი

(ტექსტი ს. მიხალკოვის და გ. ელ-რეგისტანისა, ტექსტის ახალი რედაქცია ს. მიხალკოვისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს,
გაუმარჯოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს
დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის გურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

შუქს გრიგალში გვფენდა მზე თავისუფლების
და ლენინი დიდი გვინათებდა გზას,
მან დარაზმა ხალხი მართალ საქმისათვის,
გმირობა და შრომა შთააგონა ხალხს.

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის გურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

კომუნიზმის საქმის ზეიმში ჩვენ ვხედავთ
ქვეყნის მომავალს და მას ვუსწორებთ თვალს,
და სამშობლოს წმინდა, ალისფერი დროშის
უსაზღვროდ და მარად ჩვენ ერთგულნი ვართ!

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო,
ხალხთა მეგობრობის გურჯი ხარ შენ!
ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება
წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ!

ქართული თარგმანის ტექსტის ახალი რედაქცია ირაკლი აბაშიძისა.

400.000 ტონა ჩაისათვის!

აგვისტო ჩაის კრეფის გადამწყვეტი თვეა!

ვკრიფოთ შეუფერხებლად, არ გავაუხეშოთ ჩაის ფოთოლი!

ჩაის ფოთლის კრეფა 5 აგვისტოსათვის (ტონობით)

სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ოპერატიული ცნობები

ავტონომიური რესპუბლიკა, რაიონები	აგვისტო ვალდებულება	მოკრეფილია
აფხაზეთის ასსრ	75.000	59.151
აჭარის ასსრ	55.500	46.418
მახარაძე	70.000	56.585
ზუგდიდი	54.000	40.603
წალენჯიხა	25.500	18.905
გეგეჭკორი	21.000	15.807
ლანჩხუთი	19.000	15.869
ჩხოროწყუ	18.500	14.609
ჩოხატაური	11.000	9.150
წყალტუბოს ზონა	10.500	8.206
ცხაკაია	9.800	7.392
ტყიბულის ზონა	8.800	7.031
ხობი	8.000	6.560
წულუკიძე	8.000	6.200
სამტრედია	2.500	1.911
თერჯოლა	1.050	911
ჭიათურის ზონა	980	636
აბაშა	900	364
ვანი	630	526
სულ რესპუბლიკაში	400.660	317.136

სიგნალები ჩაის კლანტაციებიდან

ფოთოლი არის, მკრეფავები არ ჩანან

ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეები ერთსულოვნად გამოხმაურნენ ახალ მოწოდებას საქართველოში 400 ათასი ტონა ჩაის დამზადების შესახებ. ბევრმა შეასრულა წლიური გეგმა. მათ რიცხვში არიან კიესის, ახუთის, ნაფიჩხოვის, მუხურის, ხაბუმის კოლმეურნეობები, ლენინის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

დავათვალიერეთ ზოგიერთი ჩაის პლანტაცია ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობაში. მეოთხე და მეხუთე ბრიგადის პლანტაციები სარეველებშია. ზამთრის შემდეგ აქ ბარი არავის დაუკრავს და არც კულტივაცია ჩაუტარებიათ. დილის 11 საათზე მეხუთე ბრიგადის პლანტაციაში მარტო ერთი მეჩაიე ნ. შამათავა კრეფდა ფოთოლს. ჩვენი მისვლა ბრიგადირმა ი. ახალაიამ შეამჩნია და მოგვიახლოვდა. კრეფაში ჩამორჩენილი ბარი, პლანტაციები დაუშავებელია, სასუქების მესამე დოზა არ შეგიტანიათ, ვუთხარით ბრიგადირს, მან თავი იმით ამართლა, რომ სასუქები დაგვიანებით მივიდეთო. ხუთბდე პლანტაცია მსუბუქად გაგვეთოხნა და სასუქი კი შემდეგ მოგვებინა, შენიშნა მკრეფავმა ნ. შამათავამ, ამის გამოა, რომ მეხუთე ბრიგადაში დღეისათვის 54 ტონის ნაცვლად 41 ტონა ჩაის ფოთოლია მოკრეფილი.

ლენინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. გობეჩია) ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა დიდი ხანია შეასრულა, მაგრამ ამის შემდეგ მუშაობა შეანელა. აი ფაქტიც: შემოწმების დღისათვის მეორე ბრიგადის (ბრიგადირი ი. ხორავა) პლანტაციაში კაცის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ერთი მეჩაიე ლ. კვაშილავა სასუქს ყრიდა ჩაის ბუჩქებთან მისვლა, რადგან მათი ზედა ნაწილი გაუხეშებულია და ერთმანეთშია შეერთებული. ამავე ბრიგადის სხვა ფართობში ნ. სიტინავაც გაუფხვიერებელ მიწაზე აბნევდა სასუქებს. ჩაის ფოთოლს არ კრეფდნენ ამავე კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადაშიც.

საკრეფი ჩაი თითქმის ყველა ბრიგადაში არის, საჭიროა სასუქების სასწრაფოდ შეტანა, რიგების გაფხვიერება, სარეველების მოსპობა, რაიონის მშრომელები ჩაის საკრეფად კვლავაც იყენებენ მცირე მექანიზაციას, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით საკრეფი მანქანების „საქართველოს“ მექანიზატორებზე. მანქანური წესით ფოთლის კრეფას არ აწარმოებენ ჩხოროწყუს ლენინის სახელობის, ქვედა ჩხოროწყუს და ზუმის კოლმეურნეობების მეჩაიეები. ზოგან პლანტაციებს „ასვენებენ“, რაც არასწორია.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

5 აგვისტო

„პრავდის“ ფურცლებზე

ამჟამად საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში წინა პლანზეა წამოწეული დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადება და სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, რასაც თან ახლავს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართო გაქანება ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე.

„მოსახლეობაში მუშაობის გაქანება და სიღრმე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პარტიული ორგანიზაციების, მათი აქტივის ინიციატივაზე“, — წერს გაზეთი მეცნიერული წერილში „საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ წარმატება კომუნისტებს მაშინ აქვთ, როცა ისინი მტკიცედ ეურდნობიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — დეპუტატთა ჯგუფებს, ხალხის კომიტეტებს, სახალხო რაზმეულებს, ამხანაგურ სასამართლოებს. მთელ რიგ ქალაქებში მიკრორაიონების საზოგადოებრივ საბჭოებთან ნაყოფიერად მუშაობენ კონსულტანტ-აქტივისტები — პედაგოგები და იურისტები, ექიმები და კულტურის მოღვაწეები, სხვა სპეციალისტები. ასეთი აქტივი საქმის ცოდნით განუმარტავს მშრომელებს წამოჭრილ საკითხებს, ხელს უწყობს მოსახლეობის მრავალფეროვანი ინტერესების უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუშაობა დღენიადაგ უნდა იდგეს პარტიული კომიტეტების თვალსაზიერის არეში. სამწუხაროდ, ზოგან დღემდე ეს მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ, არარეგულარულად ეწევიან მას, ამ საქმეს მიანდობენ ხოლმე სუსტად მომზადებულ ადამიანებს“.

კაპიტალიზმთან ისტორიულ ბრძოლაში სოციალიზმის წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეურ-ზნეობრივი ერთიანობა. ამ ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას ისახავს მიზნად საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონის პროექტი. სწორედ ამის შესახებ ესაუბრება მკითხველს ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი პ. სიმუნი სტატიაში „საბჭოთა საზოგადოების სოციალური და იდეური ერთიანობა“ (რუბრიკა — „თეორიის საკითხები“).

ამას წინათ აფხაზეთში წარმატებით გაიმართა ყარაჩაი-ჩერქეზეთში პოპულარული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „დომბაის“ გასტროლები. გაზეთის მეექვსე გვერდზე დაბეჭდილია აფხაზეთის სცენაზე ამ ანსამბლის გამოსვლის ამსახველი ფოტოსურათი.

მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა შრომითი გაერთიანებების საკავშირო შეკრება, რომლის შესახებ კორესპონდენციას გაზეთი ბეჭდავს სათაურით „განავრცობენ მამების საქმეს“.

ფართო აღგილი ეთმობა აგრეთვე საკავშირო და სპორტულ ინფორმაციას, საერთაშორისო ცხოვრების ამსახველ მრავალფეროვან მასალას.

ПРАВДА

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა

დეპუტატის ხელშეუხებლობა

როცა კავშირისა და ეროვნებათა საბჭოების აზრი სხვადასხვაა

ახალი კონსტიტუციის პროექტში მკაფიოდ არის ასახული სოციალისტური კანონიერებისა და მართლსაჯულების შემდგომი განმტკიცება.

ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 47-ე მუხლის შესაბამისად, „კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა პალატების მრჩეველ პარიტეტულ საფეხურებზე. თუ შემთანხმებელ კომისიას ვერ აღწევს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას, ან თუ მისი გადაწყვეტილება ერთერთ პალატას არ აკმაყოფილებს, საკითხი ხელმეორედ განიხილება პალატაში. იმ შემთხვევაში, თუ მიღწეული არ იქნა ორივე პალატის შეთანხმებული გადაწყვეტილება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დაითხოვს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და დანიშნავს ახალ არჩევნებს“.

ასეთი უთანხმოების შემთხვევის გადაწყვეტა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის 113-ე მუხლის შესაბამისად ასეთია: „კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა შემთანხმებელ კომისიას, რომელსაც პალატები ქმნიან პარიტეტულ საწყისებზე, რის შემდეგაც საკითხს განმეორებით განიხილავენ კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო ერთობლივ სხდომაზე“. როგორც ვხედავთ ახალი კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებული არ არის, თუ რომელმა ორგანომ ან რა წესით გადაწყვიტოს, თუ მიღწეულ არ იქნა ორივე პალატის შეთანხმებული გადაწყვეტილება.

მართალია, პროექტიამ ცხადყო, რომ ასეთი უთანხმოების შემთხვევაში პალატებს შორის არ მოხდება, „ხოლო ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი გათვალისწინებული არ იყოს. თავისთავად ცხადება კითხვა, ასეთი რამ რომ მოხდეს, რომელმა ორგანომ და რა წესით გადაწყვიტოს საკითხი? ჩვენი აზრით აღნიშნული მუხლს უნდა დაემატოს: „იმ შემთხვევაში, თუ მიღწეულ არ იქნა ორივე პალატის შეთანხმებული გადაწყვეტილება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დაითხოვს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და დანიშნავს ახალ არჩევნებს“.

ეროვნ სწორად ახალი კონსტიტუციის პროექტის 113-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს ამჟამად მოქმედ კონსტიტუციის 47-ე მუხლს[illegible] რედაქციით.

კონსტიტუციის პროექტის 116-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „სსრ კავშირის უმაღლესი საბ-

წინადადებები

ჩემი მოსაზრებები

ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნება უდავოდ საბჭოთა დემოკრატიის განვითარების უმაღლესი საფეხურია, პარტიისა და ხალხის ურყევი შეკავშირების გამოხატულებაა.

გულდასმით გავეცანი ახალი კონსტიტუციის პროექტს და მინდა გარკვეული მოსაზრებანი გამოვთქვა ზოგიერთი მუხლის გამო.

105-ე მუხლში ჩაწერილია, რომ დეპუტატი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს თავისი და საბჭოს მუშაობის შესახებ. ამას სახურველია დამატოს ვადა — წელიწადში ერთხელ ზოგჯერ.

თავს — მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და საპროკურორო ზედამხედველობა, სახურველი იქნება სადმე დაემატოს მუხლები სახალხო რაზმების. ამჟამინდელი ადგილობრივი ხელმძღვანელობის ფუნქციებიდან ეს ფუნქციები ალბათ ამოღებულ იქნებოდა.

ეს ფუნქციები ალბათ ამოღებულ იქნებოდა. ეს ფუნქციები ალბათ ამოღებულ იქნებოდა.

პ. ჩაგანავა,
ჟურნალისტი, აბაშის რაიონული გაზეთის „განახლებული აბაშის“ განყოფილების გამგე.

მილიონთა მოწონება

წვილს შემვიტან

ისე, როგორც ჩემი ოჯელა თანატოლი, განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიდი იმის გამო, რომ პირველად ვიღებ მონაწილეობას სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში.

შრომის ოფლება და შრომა ჩვენს ქვეყანაში სახელის, დიდებისა და ღირსების საქმეა, ბედნიერების წყაროა. ამასად, არასოდეს შრომა და მშრომელი ადამიანი ისე არ ყოფილა დაფასებული, როგორც საბჭოეთის დიად ქვეყანაში.

მიათე ხუთწლედის პირველ წელს, საშუალო სკოლა რომ დამთავრეს, სახოგადოებრივი შრომის ფიქრსულში ჩავიდა, ბიბლიოგრაფ ტრაქტორის მართვა, წელს გადაწყვეტილი მაქვს შესასრულო 600 ჰექტარი საშუშაო და ამით ჩემი წვლილი შეეტანო საბჭოთა ქვეყნის ძალისა და ძლიერების გაზრდაში.

ნინო მიღდისოვი,
დუშეთის რაიონის მჭადიჭვრის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

ფრუნვა მოზარდთაობაზე

ახალი კონსტიტუციის 25-ე და 45-ე მუხლები ეძღვნება განათლების სისტემას. ამ მუხლების შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში განხორციელდება საყოველთაო-საალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლა, ყურადღება მიექცევა ახალგაზრდობის შრომით მომზადებას, სასკოლო სახელმძღვანელოები გაიცემა უფასოდ. ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ძლიერების შემდგომი ზრდით არის გაპირობებული, აი, ჩვენი პარტიისა და მთავრობის კიდევ ერთი დიდი ზრუნვა კომუნიზმის მშენებელი მოზარდი თაობის აღზრდისათვის.

ახალი კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად ჩვენი რაიონის სახალხო განათლების განყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მოსწავლეთა შრომით აღზრდას და პროფესიული ორიენტაციის ძირფესვიან გაუმჯობესებას, განსაკუთრებით შრომაში პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობათა გაძლიერებას, მეურნეობებთან სკოლის კავშირის განმტკიცებას, მოსწავლეთა ტექნიკური და საცდელი მუშაობის შემდგომ სრულყოფას.

ე. გოგოლაური,
დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორი.

ლექციები კონსტიტუციაზე

თიანეთი. (საკ. კორ.). პარტიის თიანეთის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტში ჩატარდა საინტერესო ლექციები თემებზე: — „სსრ კავშირის კონსტიტუცია ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონია“ და „საზოგადოება და პიროვნება“.

ლექციები, რომლებიც დიდი ინტერესით მოისმინეს, წაიკითხეს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის კათედრის დოცენტმა ს. წოკალიერმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ფ. ნიდბაიძემ.

მუსაომე, შრომითი — სტუდენტური...

მეგობრული რაზმი

ბათუმის პროფტექნიკური სასწავლებლის ხუთსართულიანი შენობის ფასადზე შორიდანვე შენიშნავთ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სახელმწიფო ალმებს.

ეზოში შესვლისთანავე მხიარული განწყობილება დაგეუფლებათ. აქ შეკრებილან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იენის უნივერსიტეტის, ბულგარეთის ქალაქ პლოვდივის ინსტიტუტის, ბრნოს სამშენებლო ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისისა და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტები და თბილისისა და რუსთავის პროფტექნიკური სასწავლებლების ვიეტნამელი კურსანტები. ინტერნაციონალური რაზმი დიდი ოქტომბრის სახელს ატარებს. შეკრების მთავარი მიზანია მომავე სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდები გაეცნონ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ერთად ეშრომონ და იცხოვრონ, გაიღრმაონ კონტაქტები.

გაცნობის პირველი დღე შინაარსიანად წარიმართა, დღის ბოლოს მოეწყო ცეკვებისა და სიმღერების საღამო. მეორე დღეს მოეწყო კოკა-კოლიერულ-ახალგაზრდული შაბათობა.

დღის მეორე ნახევარში ინტერნაციონალური რაზმები ბათუმის ახალგაზრდობასთან ერთად მწყობრი ნაბიჯით, დროშებითა და ტრანსპარანტებით დაიძრნენ ლენინის მოედნისაკენ. დიდების ობელისკთან გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ახალგაზრდობას. მიტინგი გახსნა სტუდენტთა სამშენებლო რაზმების კომისარმა ი. ბერიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ო. ვალოგრე, ბულგარელი გ. სტოიანოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ქ. მჭედლიშვილი, ჩეხები პ. ჰეცენი და ქ. ბულჩეკიჩეკი, სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის კომისარი გ. ქადაგიძე, სტუდენტი ვ. ვეხრამიშვილი. შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი.

საღამოს ქალაქის ულტრის სასახლეში გაიმართა დიდი კონცერტი. სტუმრები მოიხიბლნენ ქართული ცეკვებითა და მელოდიებით.

ორიოდე დღის შემდეგ ინტერნაციონალური რაზმები ისევ მოეკიბულნენ. ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე ქართველები და გერმანელები ერთად შრომობდნენ. რაზმის მეთაურები ვ. ვეხრამიშვილი და პეტერ მათე შემოგვეგებნენ. არსში ორი ქალიშვილი ნიჩბებით მუშაობდა, ახლოს მიეფოფინ. იენის უნივერსიტეტის სტუდენტი ქამიოლ გულჩვეიჩეკა და უნივერსიტეტელი ქეთევან ბერიძეშვილი ალმოჩნდნენ.

საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე ქართველთა რაზმის მეთაურმა ვ. ჯანაშიამ ბულგარელები გაგვაცნო. ბულგარელთა რაზმის მეთაური ილია არგეროვი რუსულ ენას მშვენიერად ფლობს. ჩვენი სამშობლო საქართველოს ჩამოჰგავსო, თქვა, განსაკუთრებით აჭარა მოსწონებია.

ამას წინათ ბანაკში მოეწყო ბულგარეთის საღამო. ეს იყო ნამდვილი ინტერნაციონალური ზეიმი.

ჩეხებისა და ქართველების რაზმში შესვლების დროს მიეცემათ. თხოთმეტამდე ჩეხი ჩრდილში შეკრებილიყო, მათ ვ. შამათავა ქართულ სიმღერებს ასწავლიდა. რაზმის მეთაურმა ლ. კიკიანმა პ. გრომადა, ა. გრუშკოვა, ე. პარნიცა გაგვაცნო. ესენი მეორედ არიან საბჭოთა კავშირში, ძალიან მოგვწონს თქვენი ქვეყანაო, გვითხრეს.

შინაარსიანი, ხალისიანი დღეები მართლაც რომ შეუმჩნევლად მიიპარებოდა, მაგრამ უკვალოდ როდი ქრებოდა, თითოეულის გულში, გონებაში ტოვებდა განსაკუთრებით სათუთს, დაუვიწყარს, განუმეორებელს. მათ განშორებას ამსუბუქებდა კვლავაც შეხვედრის იმედი..

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: ზემოთ — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და ჩეხი სტუდენტები სამუშაოდ მიეშურებიან; ქვემოთ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები სამუშაოზე ახალციხის რაიონში.

რ. თოფუაძის და ი. მგრაბიშვილის ფოტო.

„მესხეთი-77“

მესხური ტერასები (დარიჯები) რაიონში 350-400 ჰექტარამდე აღირიცხება; ეს ტერასები ოდესღაც ბალ-ვენახებით იყო დაფარული. მაგრამ შემოსეულმა თურქმა დამპყრობლებმა, რომლებმაც თითქმის სამ საუკუნეს იბატონეს ამ მხარეში, აჩეხეს და გადაწვეს ბალ-ვენახები, დაანგრიეს ტერასები, მოშალეს რუს სათავე ნაგებობანი, რომლებიც მაცოცხლებელ წყალს აწვდიდა ტერასებს, და წყალიც სათავეშივე მოსტაცეს.

და ჩვენამდე ამ ტერასების მხოლოდ ნანგრევებმაღა მოაღწია.

ტერასების აღდგენას ხიზაბავრელები გასულ წელსვე შეუდგნენ. მაგრამ ეს ისეთი შრომატევადი სამუშაოა, რომ მარტო ხიზაბავრის კოლმეურნეობა თავისი მუშახელით ამ საქმეს მოკლე დროში თავს ვერ გაართმევს, მით უმეტეს, რომ კოლმეურნეობას სხვა სამუშაოც ბევრი აქვს.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა დამხმარე ძალა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო საბჭომ (თავმჯდომარე დოცენტი პ. მარგველაშვილი), რომელთანაც შეკვნილია და მუშაობს „მაღალმთიანი და შორეული რაიონების პრობლემების შემსწავლელი სემინარი“, გადაწყვიტა შეფობა გაეწია სამხრეთ საქართველოს რაიონებისათვის.

და აი სტუდენტთა ეს რაზმი, რომელსაც უნივერსიტეტელებმა „მესხეთი-77“ უწოდეს, 30 ივნისს ჩამოვიდა ასპინძაში და ხიზაბავრის ტერასების ახლოს, მდინარე მტკვრის პირას, თუთისა და კაკლის ხეივანში დაბანაკდა.

— უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმს, — გვეუბნება რაზმის მეთაური, უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის ასისტენტი მერაბ ბერიძე, — დიდი შრომითი ტრადიცია აქვს. სტუდენტებს შორის ბევრია გამოცდილი მეეამირე, თუმცა ტერასების აღდგენაზე პირველად მუშაობენ. სიმართლე გითხრათ, მუშაობის პირველ დღეს გარკვეულ სიძნელეს წავაწყდით. როგორ უნდა გვეშენებინა ტერასები, კარგად არ ვიცოდით; არც სამუშაო იარაღები გვქონდა. ცხადია, პირველი დღის ნამუშევარიც უხარისხო გამოგვივიდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ხელოსნებმა გვიჩვენეს თავიანთი ოსტატობა და კოლმეურნეობამაც სამუშაო იარაღებით მოგვაშარაგა, სტუდენტებმა საქმეს სწრაფად აუდეს ალღო. ახლა მათი ნახელავი როდი ჩამოგვარდება ხელოსნებისას. ერთ კვირაში 2 ჰექტარამდე ტერასი აღვადგინეთ.

დღის რეჟიმის დაცვაზე და დასახულ ღონისძიებათა ჩატარებაზე მტკიცე კონტროლი აქვთ დაწესებული რაზმის კომისარს, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილეს, იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს სოსო ბაჩიაშვილს და რაზმის ექიმს, სამედიცინო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტს ლეკან ჩაჩუას.

ასე დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა მესამე შრომითი სემესტრი მესხეთის მაღლიან მიწაზე, რაც უთუოდ გამარჯვებით დამთავრდება და, ვფიქრობთ, მომავლისათვის მოუშლელ ტრადიციად იქცევა სტუდენტთა მესამე შრომითი სემესტრის მოწყობა მრავალჟირნახულ მესხეთის მიწაზე, სადაც ვინ მოთვლის, რამდენი რამ გვაქვს აღსადგენი და ასათვისებელი.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეცხოველეობაზე — მთელი გულისყური!

გაეაძლიეროთ კონტროლი ხორცის რესურსებზე

მიმდინარე წლის გაზაფხულზე რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, სახბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, მოელი საზოგადოებრივობის ყურადღება მიპყრობილი იყო ისეთი ყოველად შეუწყნარებელი მოვლენისადმი, როცა მეურნეობებში დიდი მასშტაბით კლავენ მსუბუქი წონის პირუტყვს, არსებითად ხბოებს, გოჭებს, ბატკნებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე ამასთან დაკავშირებით მკაცრად გაკიკრიტიკეს ის რაიონები, რომელთა მეურნეობებში იკვლება მოზარდეული, რაც სახორცე რესურსების განიავებას იწვევს. გაზეთებში გამოქვეყნდა მასალები შინასაჭიროებისათვის მეურნეობებში დაკლული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ცხვრის რაოდენობისა და საშუალო წონის შესახებ.

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი დასკვნები ასეთი მანკიერი პრაქტიკის დაუშვებლობის შესახებ გამოტანილი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის შიდასამეურნეო დაკვლის წესების უხეში დარღვევების შესახებ“, რომლის შინაარსი აგრეთვე გამოქვეყნდა პრესაში. დადგენილებაში კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ შიდასამეურნეო დაკვლას, რომელსაც უნდა მიმართავდნენ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში (საბჭოთა მეურნეობებისათვის) სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომარაგების მიზნით, ბევრ მეურნეობებში ხშირად იყენებენ უყაირათობის დაფარვისა და სახელმწიფო სახსრების განიავებისათვის. გარდა ამისა, მახინჯდება ვეტერინარული ანგარიშგება და დაავადებათა სტატისტიკა, რაც ართულებს პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების სწორ დაგეგმვას.

ამიტომ გამოდის, რომ ზოგიერთ მეურნეობაში ფერმიდან გამოწერილ, ვთქვათ, აგრონომის ბებიის ქელეხისათვის დაკლულ მოზვერს ისე აფორმებენ, თითქოს მისი დაკვლა აუცილებელი იყო ფილტვების მწვავე ანთების გამო. მაგრამ, თუ ვინმე სამართლიანად შენიშნავს, რომ ასეთი ხორცი საკოლმეურნეო ფარდულში უნდა გაიყიდოს ან სასადილოში გაიგზავნოს, მას ეტყვიან: ნუ ფუვრილმანდებით, ქელეხში ისედაც მთელი ნახევარი სოფელია დაპატიჟებულიო...

ამ მხარესაც დაეთმო ყურადღება დადგენილებაში. პარტიულ და ადმინისტრაციულ ორგანოებს დაეკალთ გააძლიერონ ბრძოლა მავნე დრომოჭმული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, რომელთა გადახალდილად დიდძალი პირუტყვი იკვლება მეურნეობებში.

ამ დოკუმენტმა და მასში დასახული პარტიული ზემოქმედების ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმაში, რომ მეურნეობები უფრო ყაირათიანად ეკიდებიან ხორცის რესურსებს. მიემართოთ ციფრებს. თუ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო მეურნეობებში დაიკლა 4.588 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 11.879 ღორი, 33.797 ცხვარი და თხა, რომელთა საერთო წონა 1.880 ტონა იყო, მეორე კვარტალში რამდენადმე ნაკლები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ღორი დაიკლა — 4.291 და 7.450 სული, სამაგიეროდ მეტი დაიკლა ცხვარი და თხა — 46.193, რომელთა საერთო წონა 1.437 ტონა იყო. ხტაბილურ დონეზე დარჩა მეურნეობებში დაკლული მოზვერების და დეკეულების საშუალო წონა — 113 კილოგრამი. სამაგიეროდ ორჯერ შემცირდა — 8 კილოგრამი 16 კილოგრამის ნაცვლად — გოჭების წონა, აგრეთვე 18 კილოგრამამდე 20 კილოგრამის ნაცვლად შემცირდე ცხვრისა და თხის წონა.

თუ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შიდასამეურნეო დაკვლის მასშტაბს გასულ წლის იმავე პერიოდს შევადარებთ, შევნიშნავთ შემცირების ტენდენციას. ახლა მეურნეობებში დაიკლა 3.192 სულით ნაკლები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 6.220 სულით ნაკლები ღორი, 14.786 სულით ნაკლები ცხვარი და თხა. ამასთან ორი კილოგრამით შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა, სამაგიეროდ შესაბამისად „მოიმატა“ მეურნეობებში დაკლულმა ცხვრის, ღორისა და თხის წონამ.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენ საზარალოა ხორცის რესურსებისადმი ამგვარი მიდგომა, განვიხილავთ, რომ ასეთი გზით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განიავდა არც მეტი, არც ნაკლები, 4.500 ტონა ძროხის, ღორისა და ცხვრის ხორცი, რაც უდრის ქალაქ თბილისის მოსახლეობის მომხმარების დაახლოებით ნორმას. ეს ციფრი ისეთი ანგარიშით არის შედგენილი, თუ რამდენი ხორცი მიეყიდებოდა სახელმწიფოს. რომ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და საკოლმეურნეო-სათაშორისო ორგანიზაციებს აღნიშნული პირუტყვის ხულადობა დაწესებულ ჩასაბარებელ წონილ კონდიციამდე მიეყვანათ, როგორც ეს საშუალოდ რესპუბლიკაშია გათვალისწინებული: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 288,5 კილოგრამამდე, ღორი — 100,2, ცხვარი და თხა — 35 კილოგრამამდე.

რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში შიდასამეურნეო დაკვლის მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებული ცხრილი წარმოდგენას გვაძლევს, თუ როგორ უწევენ კონტროლს პარტიული, საბჭოთა, სახოფლო-სამეურნეო ორგანოები კოლმეურნეობების გაგებობებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექციების მუშაობას სახორცე რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეში.

რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები	წლის პირველ ნახევარში მეურნეობებში დაკლულია (სული)					
	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი		ღორი		ცხვარი და თხა	
	1977 წ.	1976 წ.	1977 წ.	1976 წ.	1977 წ.	1976 წ.
ახალქალაქის	297	531	95	197	3061	4032
ბოგდანოვკის	282	224			2417	2036
ახალციხის	45	178	84	442	826	1815
ადიგენის	99	133	259	104	604	121
ასპინძის	191	224	8	17	1938	1971
ხაშურის	207	255	420	367		
ქარელის	92	243	267	368	147	272
გორის	197	223	750	493	227	540
კასპის	82	192	350	882	325	1585
ბორჯომის	173	252	4	87	675	710
საბარეჯოს	259	352	993	2477	10805	16852
გურჯაანის	309	335	1004	1719	2019	2118
სილნაღის	399	487	1843	2095	10003	9895
წითელწყაროს	740	828	2721	3188	6988	5842
თელავის	179	226	687	955	419	1178
ახმეტის	63	100	767	1325	3766	5419
უვარლის	74	96	1013	1366	237	497
ლაგოდეხის	251	258	612	655		
გარდაბნის	600	57	285	358	2051	3335
მცხეთის	154	118	209	455	252	381
მარნეულის	132	197	465	276	2218	2224
გოლნისის	135	199	549	403	2260	3115
წალკის	201	398	43	259	1393	2979
დუშეთის	149	203	152	528	7565	7066
თეთრიწყაროს	26	212	544	555	2785	2272
დმანისის	240	563	9	3	1455	4171
თიანეთის	124	149	604	530	2244	1398
ყაზბეგის					8435	7056
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	574	471	875	612	4427	5482
ცხინვალის	242	199	378	250		
ჯავის	134	167	7		93	25
ლენინგორის	141	63	176	148	4334	5282
ზნაურის	57	42	314	214		
წყალტუბოს	160	424	12	389		
სამტრედიის	66	199	26	242		
ფულუკიძის	90	138	56	201		
ვანის	101	130	43	47		
მაიაკოვსკის	30	37				
ზესტაფონის	7	14		17		
თერჯოლის	130	99	41	461		
ჭიათურის საქალაქო საბჭო	41	49	20	32		
საჩხერის	66	154	120	111		
ორჯონიკიძის	37	58	118	137		
ტყიბულის საქალაქო საბჭო	1	1				
ონის	131	191	87	43	17	
ამბროლაურის	22	63	189	257		
ცაგერის	55	57	1	18	2	12
ლენტეხის	81	199	313	59	7	
აბაშის	106	224	714	1015		
ცხაკაიას	99	69	555	498		
გეგეჭკორის	144	227	132	89		
ზუგდიდის	31	30	11	22		
ხობის	30	38	59	287		
წალენჯიხის	23	46	3	8		
ჩხოროწყუს	31	54	44	44	13	
მარტვილის	151	371	32	94		
ლანჩხუთის	173	189	7	34		
ჩოხატაურის	19	49		164		
მესტიის	128	288	54	74		
აფხაზეთის ასსრ	306	500	187	210	409	207
სოხუმის	8	31				
გულრიფშის	35	62	28	60	27	246
გალის	27	21	10	20	17	26
გაგრის საქალაქო საბჭო	41	62	56	55	71	61
გუდაუთის	98	160	23		86	204
ოჩამჩირის	97	155	20	75	208	200
ტყვარჩელის საქალაქო საბჭო		10				
აჭარის ასსრ	346	384	212	373		
ხელვაჩაურის	66	87	127	204		
ქობულეთის	32	32	85	169		
ქედის	67	37				
ხულოს	118	132				
შუახევის	63	76				
სულ საქართველოს სსრ	8879	12071	19829	25549	79990	94778

გაიზარდა მეურნეობებში დაკლული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რიცხვი ბოგდანოვკის, გარდაბნის, მცხეთის, თერჯოლის, ცხაკაიას, ქედის რაიონებში, ღორისა — ადიგენის, ხაშურის, გორის, გურჯაანის, ცხაკაიას, ლენტეხის, გეგეჭკორის რაიონებში. ცხვრისა და თხისა — ბოგდანოვკის, ადიგენის, ბოლნისის, სილნაღის, წითელწყაროს, თეთრი წყაროს რაიონებში. შარშანდელზე მეტი პირუტყვი დაიკლა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში.

დროა შეუნელებელი ბრძოლა გამოუცხადოთ ლიმიტის გადაჭარბებით პირუტყვის დაკვლას მეურნეობებში, მოწესრიგდეს მოსპობას, რაც ამცირებს ხორცის რესურსებს რუსპუბლიკაში და აუარესებს ქალაქებისა და ხაბრეწველო ცენტრების მშრომელთა უკეთ მოშრაგების შექმნის შესაძლებლობას. ამ საქმეს საოცარში უნდა ჩაუდგნენ პარტიული კომიტეტები, კომკავშირელები, „პროფექტორისტები“, სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ხამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებში. (საკინფორმი).

ოფიციალური განყოფილება

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის გამო

მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და შუამბრძოლი სარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემულმა დებულებებმა და დასკვნებმა, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ გამოიწვია მშრომელთა კოლექტივების აქტივობის ახალი აღმავლობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ განიხილეს საკითხი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესის შესახებ და მიიღეს შეხამებული დადგენილება.

დადგენილია, რომ მეათე ხუთწლედის თითოეული წლისა და მთლიანად ხუთწლედის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება ხუთწლედის სახალხოსამეურნეო გეგმებისა და დავალებების შესრულების შედეგების მიხედვით, ამასთან მხედველობაში მიიღება შემხვედრი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. 1977 წლის შედეგების შეჯამებას გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში მიღწეული შედეგები.

საწარმოო სამინისტროებსა და უწყებებს მეათე ხუთწლედში გაუდიდდათ ხელფასის ფონდის სასხრები იმისათვის, რომ პრემიები მისცენ და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოონ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო-ორგანიზაციათა მუშაკები.

საჭიროდ არის მიჩნეული აამაღლონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისათვის გასაცემი პრემიების მნიშვნელობა, უფრო სრულად გაითვალისწინონ პრემირების დროს მუშაკის პირადი წვლილი მშრომელთა კოლექტივის მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში, არ დაუშვან გათანაბრებითი მიდგომა პრემიების გაცემისადმი.

დაწესებულია სარეწველო წარმოების, მშენებლობისა და ტრანსპორტის მოწინავეთა — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეთა მატერიალური წახალისების ღონისძიებანი (როგორც ეს წინად იყო გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის მოწინავეებისათვის), სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომებითა და მედლებით დაჯილდოებულ პირებს მათი სურვილისამებრ შეიძლება ნატურალური პრემიებისა და ფასიანი საჩუქრების ნაცვლად გადაეცეთ შესაბამისი ფულადი გასამრჯელო.

დადგენილებით გათვალისწინებულია იმ წინადადებათა წარდგენის წესი, რომლებიც ეხება საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დაჯილდოებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით.

უფრო მომჭირნედ ვხარჯოთ სათბობი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „1977-78 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სათბობით, ელექტროენერგიითა და თბოენერგიით სახალხო მეურნეობის, აგრეთვე მოსახლეობის უზრუნველყოფისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სათბობისა და ენერგიის რაციონალური ხარჯვის საკითხებს. სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, დარგობრივი საბჭოების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან გააძლიერონ მუშაობა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დასაზოგავად და უზრუნველყონ 1977/78 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის სათბობის საჭირო მარაგის შექმნა.

სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაუწესდათ მათს საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციებში ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაზოგვის 1977 წლის III-IV კვარტალების დავალებანი. იმ მიზნით, რომ შესრულდეს აღნიშნული დავალებანი, ყოველ საწარმოსა და ორგანიზაციაში უნდა განისაზღვროს სათბობის, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაზოგვის ოდენობა, შემუშავდეს და განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი. დასახულია წინადადება აგრეთვე უზრუნველყონ, რომ შემცირდეს ელექტროენერგიის ხარჯი ზაფხულობით ქუჩების, სამშენებლო მოედნების, საკარნხო ტერიტორიის განათებასა და შუქრეკლამაზე, აღიკვეთოს ზედმეტობანი მეტროპოლიტენის სადგურების განათებაში, შემოწმდეს საწარმოებსა და ორგანიზაციებში თბოქსელების იზოლაციისა და საკეტი არმატურის სიმჭიდროვის მდგომარეობა და მიღებულ იქნას ზომები წყლისა და ორთქლის გაყინვის თავიდან ასაცილებლად, არ დაუშვან ენერგიის სხვა არამწარმოებლური დანაკარგები. მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესდეს რკინიგზის ცისტერნებიდან ნავთობპროდუქტების სრული დაცლის უზრუნველყოფას.

მიღებული დადგენილების შესაბამისად საწარმოო-ორგანიზაციებს 1977 წლიდან მოყოლებული დაუწესდათ სათბობისა და ენერგიის ხარჯვის დიფერენციირებული ნორმები კვარტალების მიხედვით. საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა ენერგიის მოხმარების გეგმების განუხრელი შესრულებისათვის.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს და ენერგეტიკულ სისტემათა ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ შეუწყვეტონ ელექტროენერგიისა და თბოენერგიის მიცემა საწარმო-ორგანიზაციებს, რომლებმაც დაუშვეს ენერგიის გადახარჯვა დაწესებულ ლიმიტებთან შედარებით. საწარმო-ორგანიზაციებს 1977 წლის IV კვარტალისა და 1978 წლის I კვარტალისათვის მომეტებული ოდენობით დაუწესდებათ ლიმიტის გადაჭარბებით მოხმარებული ელექტროენერგიისა და თბოენერგიის გადასახადი.

მიღებულ დადგენილებაში შესაბამის სამინისტროებს დაუწესდათ ქვანახშირის, ნავთობის, საწვავი მაზუთის მოპოვებისა და წარმოების. სათბობის გადაზიდვის, გადამამუშავებელი საწარმოებისა და ელექტროსადგურების სარეზერვო სახეობათა სათბობზე გადაყვანის, აგრეთვე მშენებლობისა და იმ სიმძლავრეთა ამოქმედების დავალებანი, რომლებიც სათბობის წარმოების ზრდას უზრუნველყოფენ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო, საქალაქო აღმასკომებს დაავალა შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სათბობით მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგებისათვის, უზრუნველყონ ქვანახშირის, ბრიკეტების, შეშის, საღუმელე საყოფაცხოვრებო სათბობისა და თხევადი გაზის დროული მიტანა ქალაქისა და სოფლის სავაჭრო ადგილებში, რომლებიც სათბობით ამარაგებენ მოსახლეობას. (საკდესი).

გული სიხარულით გვევსება!

ქართველი მოსწავლეები კრემლში

მოსკოვიდან დაბრუნდა ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა ჯგუფი — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი ლენინური კომკავშირის პატაკის ხელისმოწერის უფლებისათვის შეჯიბრების პირველი ეტაპის გამარჯვებულნი. 1976 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი წარმატებების, თავდადებული შრომის, მუშაობის მაღალი ხარისხის, ჩინებული სწავლის, აქტიური სამეცნიერო-ტექნიკური და მხატვრული შემოქმედებისათვის ყმაწვილებმა მიიღეს სპატიო უფლება სურათი გადაიღოთ კრემლში.

საქართველოს წარგზავნილთა შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები. ჩვენი საბჭოთა ქალაქში ყოფნის დღეებში მათ გვიჩვენებთან შეიკრეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და ოცნობი ჯარის,აცის საფლავი, ეწვივნენ ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმს.

ქართველმა მოსწავლეებმა მოაწყეს საინტერესო ექსკურსიები ბმან ქალაქ მოსკოვში, ინახულეს ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი გორკაში, დათვალიერეს მუზეუმი — პანორამა „ბოროდინის ბრძოლა“, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონები, იყვნენ დედაქალაქის საუკეთესო სკოლებში, სადაც გაუზიარეს მათ თავიანთი სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

აი რა უამბეს საქინფორმის კორესპონდენტს კოტელნიკი ფოტოგრაფირებაა მონაწილეებმა.

ლელა ანჯაფარიძე, თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე:

— ნათელი, დასამახსოვრებელი იყო მოსკოვში ჩვენი ყოფნის დღეები, ის დიდი პატივი, რაც ჩვენ გვხვდა, ბევრ რამეს გვავალებს: ვისწავლოთ „ფრიადზე“, ვიმრომოთ „ფრიადზე“!

მიხეილ მელიქარაძე, მახარაძის პირველი საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე:

— გული სიხარულით გვევსება იმის შეგნებით, თუ რაოდენ დიდი მზრუნველობითა და ყურადღებით ვართ გარემოცული ჩვენ, მოსწავლე ახალგაზრდობა, საბჭოეთში. ჩვენს წინაშე გაჩსნილია ცხოვრების ყველა გზა. და ჩვენი მოგზაურობა მტკიცედ ვიაროთ ოქტომბრის მიერ დასახული გზით.

ბელგეტაპის გაბდეოგვცევს

მსოფლიოს ამბები

ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლებში

ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესასვედრად

მშვიდობის დიდი ქომაგი

ბეირუთი, 4 აგვისტო. (საკდესი). აქ ლიბან-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ინიციატივით შექმნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცი წლისთავის დღესასწაულობის ლიბანის ეროვნული კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდნენ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრები რ. კარამე, ა. ბაფი, ტ. სოლხი, ა. ალ-მაფეზი, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი, ცნობილი პოეტები, მწერლები და მხატვრები.

აქ მოწყობილ მიღებაზე საზოგადოების პრეზიდენტმა ჰ. ჰუსეინიმ განაცხადა, რომ თავისი არსებობის არც თუ დიდი პერიოდის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფო დიდი ლენინისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცა მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოდ, რომელიც ანეკეფორებს მთელ კაცობრიობას თავისი მიღწევებით როგორც ეკონომიკის, ისე კულტურისა და სოციალური განვითარების დარგში. საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება, ხაზი გაუსვა მან, ადასტურებს დიდი ოქტომბრის იდეების სისწორეს. საბჭოთა სახელმწიფოს ყველა წარმატება მიღწეულია საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების: მშვიდობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთპატივისცემის განტვიფიკების პრინციპების განხორციელებით.

არაბი ხალხები, ხაზგასმით აღნიშნა ჰ. ჰუსეინიმ, დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ უანგარო მხარდაჭერას უწევს მათ ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების აღდგენისათვის ბრძოლაში. ამან განმტკიცა ჰპოვა იმ დიდსა და მრავალმხრივ დახმარებაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს არაბულ ქვეყნებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დარგებში, იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის შეთქმულების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხარდაჭერის გარეშე, აღნიშნა მან, არაბეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ვერ შეძლებდა წინააღმდეგობა გაეწია იმპერიალისტური და სიონისტური აგრესიისათვის.

რატიფიკაციაზე უარი თქვეს

ფილადელფია, 4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა უარი თქვა გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და მისთვის დასჯის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიკაციაზე. ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებისადმი კანონმდებელთა ძლიერი ოპოზიციის შედეგად დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა სენატში რ. ბერდმა გადაწყვიტა კონვენცია განსახილველად და კენჭის საყრელად არ შეიტანოს კონგრესის ზედა პალატაში.

შეერთებული შტატები იმ მცირერიცხოვან ქვეყნათაგანია, რომლებიც არ შეუერთდნენ კონვენციას იმის მიუხედავად, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მისი მიღების დროიდან უკვე 28 წელი გავიდა. კონვენციის რატიფიკაციაზე უარის თქმა ,ცხადყოფს, თუ რა ფასი აქვს საკარო გამოცხადებულ „ადამიანის უფლებათა გამო შეშფოთების შესახებ“; რაც სულ მუდამ პირზე აკერია ვაშინგტონს.

ამერიკის დღევანდელი სინამდვილე ბევრ იმის მაგალითს იძლევა, თუ როგორ ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ხელისუფალნი გენოციდის პოლიტიკას ქვეყნის მკვიდრი ინდიელი მოსახლეობის წინააღმდეგ, როგორც მიზნად ისახავს ინდიელთა რიცხვის თანდათანობით შემცირებასა და მათი კულტურის, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების მოსპობას. საშინელი სიღატაკე, შიმშილი, დაავადებები, დიდი სიკვდილიანობა — ასეთია ამერიკის მკვიდრთა უმრავლესობის მწარე ხვედრი.

„ინდიელთა მიმართ თეოდორ რუზველტი მთავრობის ოფიციალურ უწოდა სენატორმა ე. კენედიმ ამერიკის ხელისუფალთა გენოციდის პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატების ინდიელი მოსახლეობის მიმართ, რასაც „ცივილიზებულ“ ფორმებით ნიღბავენ. ფაქტები მოწმობენ, რომ ამერიკის საზოგადოებაში მთლიანად მიღებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ნაგრული ეროვნული უმცირესობის მოქალაქეობრივი უფლებები.

ს. კიპრიანუს გამოსვლა

ნიკოზია, 4 აგვისტო. (საკდესი). კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჭიეპისკოპოს მაკარიოსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე ს. კიპრიანუ, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელია, გამოვიდა ეროვნული ტელევიზიით.

ს. კიპრიანუმ მოუწოდა კიპროსელებს ყოველი ღონე იხმაროონ ერის ერთიანობის განმტკიცებისათვის, იმისათვის რომ დაძლიონ შექმნილი სიძნელეები.

ს. ვენსი დამასკოში

დამასკო, 4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი დამასკოში ჩამოვიდა. მანამდე კი გზად ბეირუთში ჩამოხდა.

სირიის პრეზიდენტ ჰ. ასადისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოლაპარაკების შესახებ ჭორაკერით არაფერს იტყობინებიან.

მაგრამ არაბეთისა და სხვა ქვეყნების პრესა კვლავ განმარტავს ეგვიპტის მიერ წარმოდგენილ წინადადებას ჟენევის საზავო კონფერენციის მომზადებისათვის „საშუშაო ჯგუფის“ შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ისრაელისა და მასთან კონფრონტირებული არაბეთ-ისრაელის მოლაპარაკებაში მონაწილეობას. ამგვარი ჯგუფის ჩამოყალიბება ამერიკის ეტაპობრივი დიპლომატიისაკენ დაბრუნება იქნებოდა, რომელიც, როგორც ცნობილია, უნაყოფო აღმოჩნდა და თითქმის ორი წლით გადაწია ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტა.

ღრმა შეშფოთება

ბერლინი, 4 აგვისტო. (საკდესი), ქალთა საერთაშორისო ლეგიონერიელა ფედერაციამ ღრმა შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ ბანს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს სხვა ქვეყნებში ძლიერდება ანტიკომუნისტური ცილისმწამებლური კამპანია და აქტიურდებიან ნეოფაშიზმის ძალები.

კიევი ომიდან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისაკენ შემობრუნებით დაშინებული დაბაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი, ნათქვამია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აქ გავრცელებულ განცხადებაში, ყოველნაირად ცდილობენ დაამუხრუჭონ ეს პროცესი და დაიწყონ გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი.

ფოტოეკრანი

ბზრ. ეს 6-მეტრიანი ბუდა (სურათზე მარცხნივ) პაპიემაშესგან არის დამზადებული. დიუსელდორფის ერთ-ერთი მალაზიის მფლობელმა იგი შესასვლელში მყიდველთა მოზიდვის მიზნით დადგა.

აპ-საკდესის ფოტო.



საშრანბეთი. პარიზის ბაზრობაზე გამართულ კონკურსზე „სიახლენი-77“ წარმოდგენილი იყო „დასასვენებელი ველოსიპედი“ (სურათზე). მანქანას, რომელიც ტანდემის პრინციპზეა აგებული, აქვს მოხერხებული ზურგიანი საჯდომი, ორმაგი მართვა.

კეისტონ-საკდესის ფოტო.

მადაგასკარის ახალი მთავრობა

ანტანანარივუ, 4 აგვისტო. (საკდესი). მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა დიდიე რაციერაკამ დღეს გამოაცხადა ქვეყნის ახალი მთავრობის შემადგენლობა.

მას მეთაურობს პრემიერ-მინისტრი დ. რაკუტუარიმაუნა. თავდაცვის მინისტრი გახდა გ. სიბონი, საგარეო საქმეთა მინისტრი — რ. — კ. რემი, რესპუბლიკის ფინანსებისა და დაგეგმვის საკითხთა პრეზიდენტის მინისტრი — რაკეტუვაუ-რაზაკაბუანა. კაბინეტის ახალ წევრთა შორის არის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მალაგასის სოციალისტური რევოლუციის ქარტიის მხარდამჭერის დემოკრატიული კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ფიზელ რაბესაპალა. მან დაიკავა ხელოვნებისა და რევოლუციური კულტურის საკითხთა მინისტრის პოსტი, ჟ. რარიგუსუნმა შეინარჩუნა ეკონომიკისა და კეჯრობის მინისტრის პორტფელი.

ახალი მთავრობის შექმნის აქ მიიჩნევენ როგორც კიდევ ერთ ნაბიჯს მადაგასკარის პროგრესული ძალების შეკავშირების გზაზე.

ევროპა ჰელსინკის შემდეგ

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის მეორე წლისთავის გამო

□

ჰელსინკის ისტორიული თათბირის შემდეგ ევროპაში შექმნილ ვითარების რომ აფასებდა, საბჭოთა პროფკავშირების მეთექვსმეტე ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა ის სასიამოვნო ფაქტი, რომ კიდევ უფრო განმტკიცდა მშვიდობის პოზიციები ევროპაში, გაიზარდა და უფრო ყოველსმომცველი გახდა მშვიდობიანი თანაშრომლობის მასშტაბი.

ორი წელი მოკლე ისტორიული პერიოდია, მეთოდიტეს, როდესაც საკითხი ეხება ისეთ რთულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პროცესს, როგორიცაა სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობების ახალი ფორმების დადგენა და მათი სიცოცხლისუნარიანობა. მიუხედავად ამ ჭრელტომატიული ჭეშმარიტებისა, დღეს ჩვენ უკვე გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ თავის დროზე სოციალისტური ბანაკის მიერ წამოყენებულმა და შემდეგ ჰელსინკის თათბირის მიერ მიღებულმა ძირითადმა პრინციპებმა წარმატებით გაიძლეს დროის გამოცდას.

მაინც, რა გამოავლინა გასულმა ორმა წელმა? უპირველეს ყოვლისა, ის უაღრესად დადებითი ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებენ ჰელსინკში ნაკისრ ვალდებულებებს.

გავიხსენოთ 1975 წლის აგვისტოს დღეები, როდესაც მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს ელჩებმა ის სასიამოვნო ფაქტი, რომ კიდევ უფრო განმტკიცდა მშვიდობის პოზიციები ევროპაში, გაიზარდა და უფრო ყოველსმომცველი გახდა მშვიდობიანი თანაშრომლობის მასშტაბი.

ორი წელი მოკლე ისტორიული პერიოდია, მეთოდიტეს, როდესაც საკითხი ეხება ისეთ რთულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პროცესს, როგორიცაა სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობების ახალი ფორმების დადგენა და მათი სიცოცხლისუნარიანობა. მიუხედავად ამ ჭრელტომატიული ჭეშმარიტებისა, დღეს ჩვენ უკვე გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ თავის დროზე სოციალისტური ბანაკის მიერ წამოყენებულმა და შემდეგ ჰელსინკის თათბირის მიერ მიღებულმა ძირითადმა პრინციპებმა წარმატებით გაიძლეს ძალა.

ეფიერობთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს უპირველესად ერთ მოვლენასთან, როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს თავისი ძირითადი კანონის სტატუსამდე აჰყავს საერთაშორისო თათბირზე ნაკისრი ვალდებულებები და ყველაფერი ძველებურად წარიმართებოდა.

დღეს, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი ასეთი აღმავლობით იხალავს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს — დოკუმენტს, რომელიც გამოქვეყნებისთანავე მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა, ,ხდება: პროექტისადმი საყოველთაო ინტერესი იმანაც განაპირობა, რომ მასში პირველად შევიდა სპეციალური თავი — „საგარეო პოლიტიკა“.

პროექტით ძირითადი კანონის ძალა ენიჭება ისეთ საკითხსაც, როგორიცაა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რაც კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად იქცა. როგორც ,ცნობილია, ჰელსინკის თათბირის მთავარი იდეა სწორედ ეს პრინციპი იყო. გარდა ამისა, პროექტის 29-ე მუხლში ,ჩათხულობთ — „სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ურთიერთობა დამყარებულია ისეთი პრინციპების დაცვის საფუძველზე, როგორიც არის: ძალის გამოყენებისა და ძალით დამუქრებაზე ორმხრივი უარისთქმა; სუვერენული თანასწორობა; სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა; დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თავიანთი ბედის ბატონპატრონის უფლების პატივისცემა; სახელმწიფოთა თანამშრომლობა; საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან, სსრ კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება“.

როგორც ,ცნობილია, ძირითადად ეს სწორედ ის პრინციპებია, რომლებიც ხანგრძლივი და დაძაბული შრომის შედეგად მიღწეა ჰელსინკის თათბირმა.

ეფიერობთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს უპირველესად ერთ მოვლენასთან, როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს თავისი ძირითადი კანონის სტატუსამდე აჰყავს საერთაშორისო თათბირზე ნაკისრი ვალდებულებები. ძნელია დადასტურება მოიფიქრო ,ეკონომიკური ,ეფექტიანობა ,ამ ,ფაქტისა, ,ეს ,ფაქტი ,ეს ,ფაქტი ,ეს ,ფაქტი

ქართული ლიტერატურის სათავეებთან

ჩვენი უკვდავი ძეგლები

„ჰაემეტი“ და „ხანმეტი“ საკითხავების „დიდი ისტორია“, ბოლნისის სიონის განთქმული ეპიგრაფიკული ძეგლები (493 წ.), ბეთლემის (ბირ ელ-კუთის) ქართული ასომთავრული ანბანის (430 წ.) აღმოჩენა, მცხეთა-არმაზის ბერნოვანი ბილინგვის (II საუკუნე) ამოკითხვა და სხვა მრავალი საყრდენი წყარო გვეუბნება, რომ იაკობის „შუშანიკის“ (476-483 წწ.) ქართული მწერლობის უძველეს ძეგლად აღიარება გაუმართლებელია (იაკობს უწოდებს „შუშანიკის“ ავტორს პროფ. ს. ჯანაშია).

თვით იაკობი, სულ ცოტა ოცჯერ იმოწმებს — „ძველი“ და „ახალი აღთქმის“ წიგნებს, რომლებიც, თუ უფრო ადრე არა IV-V საუკუნეში მაინც ქართულად თარგმნეს; ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე უძველესი ქართული ანბანის ნიმუშად ბოლნისის ასომთავრული მრგლოვანი წარწერა მიგვაჩნდა. ბეთლემის ქართული მონასტრის მოზაიკურმა წარწერებმა (430 და შემდგომი წლები), რომლებიც იტალიურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ვ. კორბოს მეთაურობით (1953 წ.) და მშვენიერი ხელით ამოჭრილი ქართული ასომთავრული მრგლოვან წარწერას მიგვაცნო, ქართული ანბანის წარმოშობის დროის საკითხში სინათლე შეიტანა.

მეხუთე საუკუნის უწინარეს ქართველებს უთუოდ ჰქონდათ წარმართული ანუ პაგანისტური მწერლობა, რომელსაც, თუ ადრე არა, IV საუკუნიდან მაინც მატოქმებას უწევს ახლადგამარჯვებული ქრისტიანული ლიტერატურა. ქრისტიანობა რომ ერთის მხრივ იყენებდა, მეორეს მხრივ კი ებრძოდა წარმართულ ხელოვნებას და მწერლობას, ეს საზოგადოდ აღიარებული ფაქტია. არის საბუთები, რომ დიდებულ ჰომიროსს, პლატონს, არისტოტელეს ქრისტიანული ეკლესიის კარიბჭეში ხატავდნენ.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე ამბობს: „სრულიად წარმოუდგენელია, რომ წარმართულ სიმღერას და პოეზიას ქრისტიანულზე გავლენა არ მოეხდინოს, როგორც ყველგან, ისე ჩვენში“ და შემდეგ: „ხალხური ლიტერატურა ანუ ფოლკლორი განუყრელია ქართველების არსებობასთან“. მაშ, დამვებულია წარმართული ფოლკლორული ლიტერატურის არსებობა.

ქართული პოეტური ეპოსის კლასიკური ძეგლია „ამირანი“ და „ფარნავაზის ქამბავი“, რომელიც ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულებაშია დაცული, უეჭველად წარმართობის სანიადან მომდინარეობს. ბერძენი მწერალი ქსენოფონტე (534-430 წწ. ძვ. წ.), რომელიც მოგზაურობდა ქართველთა ტომებში, მოსიოკებზე (დასავლეთი იგივე მესხები) ამბობს: მათ ჰქონდათ გუნდური რიტმული პოეზიაო:

„როცა მოსინიკები დაირაზმენ ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, დანარჩენებმა სიმღერის რიტმს ფეხი აუწყვეს და გაემართნენო“.

ცნობილია, რომ ქართველ ტომთა — იბერ-მესხთა სახელები არაერთხელ არის დამოწმებული ვ. წ. ბიბლიური „ძველი“ და „ახალი აღთქმის“ წიგნებში. ერთ-ერთ აპოკრიფულ „სახარებას“ თუ დავუჯერებთ, „წარმართი ქართველები“, „ნინოს ცხოვრებაში“ ნახსენები ელიოზ მცხეთელი და ლონგინუზ კარსნელი (კარსანი არის მცხეთის ახლოს) დაესწრნენ „33“ თუ „70“ [illegible] წლის („პრესბიტერი“) „ქრისტეს [illegible] გასამართლებასა“ და „ჯვარცმასა“, „დაბადების“ ანუ „ბიბლის“ წიგნში ნათქვამია: თობელი-იობელი-ქართველთა წინაპარი „იყო გამომაჩინებელი საფსალმუნისა და ებნისაო“.

ლეონტი მროველი (XI ს.) თუ ისტორიკოსი ჯუანშერი (XI ს.), რომელთაგან ბევრად ჩვენზე ბევრი წარმართული ხალხური ლიტერატურისა და სამწერლობო ძეგლებზე მიუწვდებოდათ ხელი, კონკრეტულად ასახელებენ მეხუთე საუკუნის (ახ. წ.) მწერალს მოგვს მობიდანს, რომელიც „ფარულად წერდა წიგნებსა ყოველისა საცთურებისსა, რომელი შემდგომად მისსა დაწვა ყოველი წერილი. მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ“.

ამგვარად, წარმართულ თუ მწვალებულურ ლიტერატურას V საუკუნის დამდეგამდეც შემოუღწევია ჩვენში. მობიდანს არჩილ მეფის დროს (412-439 წწ.) უცხოვრია.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ქართველ ტომებს, წინა აზიაში იყვნენ თუ კავკასიის ტერიტორიაზე, ურარტუს კულტურის თუ ხეთას წრის ცივილიზაციას უდგნენ სათავეში, კავშირურთიერთობა ჰქონდათ ისეთ ხალხებთან, როგორიც იყვნენ ფინიკიელები, სირიელები, სპარსელები, ბაბილონელები, იუდეველები, ეგვიპტელები, ბერძნები და რომაელები. თვითეულ ამ ხალხს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოეპოვებოდა ანბანი, ჰქონდა „დიდი რელიგიები“ მათი ლიტერატურულ თუ ხალხურ გადმოცემებზე დამყარებული წყაროები, როგორც, მაგალითად, სპარსელებს ფალაურ-პართულ ენაზე შედგენილი „წიგნი ყველა ცოდნისა — „ავესტა“ (უწოდებენ ზენდავესტასაც, ის მიაჩნიათ VIII-VII ძვ. წ. ა. საუკუნეებში შედგენილად), ინდური „მაჰაბარატა“, დაწერილი ბუდას მოძღვრებისათვის VI-V სს.), შუმერულ-ბაბილონური „გილგამეში“, ასურულ-ებრაული „თარგუმი“ ანუ ბიბლიური მოსეს ხუთი წიგნი და სხვ. ამ წიგნში, რომელმაც „ძველი“ და „ახალი აღთქმის“ წიგნების სახე მიიღო, როგორც ვთქვი, არაერთხელ ნახსენები თობალი (ივერი), მოსოხი (მესხი) კარდუხები („დაბადებით“ კაშდიმ) ანუ ქართველები (კ. კეკელიძე).

ბიბლიური „ძველი აღთქმის“ მიხედვით თობელ-კაენი, რომელიც იყო მეჭედელი რვალისა და რკინისა, „ვაჭრობდეს ფინიკიის ქალაქ ტვიროსში ლითონის ჭურჭლით“. ასე რომ, ლიტერატურულად დადასტურებულია მწერლობის მატარებელი ფინიკიელებთან მისვლა-მოსვლა თობელისა (ივერისა) და მოსხებისა (მესხები), როცა ისინი მიერე აზიაშიც (და კავკასიაშიც) ცხოვრობდნენ.

სწორედ ეს ფაქტები ჰქონდა მხედველობაში ი. ჯავახიშვილს, როცა ქართული ანბანის შექმნას, ჰიპოთეზის სახით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში ვარაუდობდა. მას არ სჯეროდა ლეონტი მროველისა (XI ს.), რომელსაც უწერია:

„ფარნავაზმა (IV-III ს.) მთელ საქართველოში ქართული ენა შემოიღო სახელმწიფო ენად;“ „ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ძნელია იმის თქმა, თუ რომელ ან რა მწიგნობრობაზეა აქ ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში არმაზში (მცხეთა) აღმოჩენილმა ორენოვანმა მდიდრულმა წარწერამ („არმაზის ბილინგვა“), რომლის ერთ-ერთი პარალური ენაა ბერძნული, მეორისა — არამეული ან საშუალო სპარსული, ე. ი. ფალაური, დაადასტურა, რომ ოფიციალურ ენად ხმარობდნენ ბერძნულს და არამეულ-სპარსულს.

ბევრია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძველთაძველი ბერძნული წარწერები. ქართველებს „მცირე ზვალი როდი უდგვთ ბერძნული კულტურისა და მწერლობის განვითარების საქმეში; ბერძნულად წერდა ბაკური (გარდაიცვალა 394 წ.). ის ნაშრომებს უგზავნიდა თავის მასწავლებელს ლიბანიოსს. ქართველი იყო ევაგრე იბერიელი (IV ს.), რომელიც ასევე ბერძნულად წერდა და მისი არაერთი თხზულება ქართულად გადმოიღეს, ბოლოს, ფაროად არის ცნობილი „არეოპაგტიკა“ ქართველი ავტორი პეტრე იბერი (412-494 წწ.), რომელიც ასევე ბერძნულად წერდა.

ცნობილია, რომ კოლხეთის ანუ ფაზისის (ფოთის) რიტორიკულ ბერძნულ სკოლაში (IV ს.), რომელიც „მუზების ტაძრად“ იქცა, ქართველებიც სწავლობდნენ (თემისტიოსის ცნობებით), რასაკვირველია, ამ სკოლის შინაარსსა და სადაურობაზე კამათია.

როცა ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებს ვეხებით, არ შეიძლება არ მოვიგონოთ აწ განსვენებული პროფესორის სარგის კაკაბაძის აზრი „ჩვენი კულტურის სათავეების“ შესახებ, რომელიც შეჯამებული სახით „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა. ის ფიქრობდა, რომ ვ. წ. „მოქცევაი ქართლისაის მატიანეს“ ზოგი ნაწილი, რომელიც უძველეს ქართველ მეფეებს ეხება, დაწერილია ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში. „ნინოს ცხოვრება“, მიღებული ქრონოლოგიით, IX საუკუნისაა, ს. კაკაბაძეს ის მიაჩნია სწორედ ნინოს მოღვაწეობის დროს —IV საუკუნეში დაწერილად, ხოლო ანბანი საქართველოში მიღებული ყოფილა სამგვარი: საკუთრივ ქართული, ბერძნული და არამეული.

საყურადღებოა მეცნიერის და მწერლის პ. ინგოროყვას აზრი. კარგა ხანია ქართულ მეცნიერებას მან შესთავაზა აზრი, რომ „ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვილობა“ დაწერილია მეოთხე ან მეხუთე საუკუნეში. ქართულ ენაზე მოღწეული უძველესი ჰაგიოგრაფიული ძეგლია „კალისტრატეს მარტვილობა“ (IV ს.). „კოლაელნი“ მეოთხე საუკუნეში თუ არა, მეხუთეში უნდა იყოს დაწერილი.

მაგრამ მოვუსმინოთ აკად. ი. ჯავახიშვილს:

„ავალე ინგოროყვას უაღრესად საინტერესო გზის გამკვლევი მონოგრაფიი“ ძველი ქართული წარმართული კალენდარი მე-5-8 საუკუნის ძეგლებში“... საშუალებას გვაძლევს დაუთარიღებელ მერმინდელ ხელნაწერებში დაცულ ძეგლთა შორის ქართული მწერლობის უძველესი ხანის ნაწარმოებები გამოვყოთ ხოლმე“.

ეს დიდი საკითხია, — ამბობს მწერალი-კრიტიკოსი ვ. ჭელიძე და მას გულმოდგინე, კომპლექსური შესწავლა სჭირდება“.

კონკრეტულად აქ იგულისხმება „ქართლის მოქცევის მატიანე“, რომელიც უთარიღოა და მკვლევარებს VII ან IX-X საუკუნეებში გადაკვეთ. აქ იხსენიებიან ავტორები, რომლებიც ამ თხზულებაში შესულ ცალკე თავებს წერდნენ. მაგალითად, მირიან მეფის „წერილს“ წყარად იყენებს მეოთხე საუკუნის ვინმე იაკობი. მირიანი ამეწყნებს სვეტიცხოველს, იქ სადაც „მაყვლოვანი ვანობდა“ და ჩუმად ახალ მოძღვრებას ქადაგებდა ნინო:

„და აღვაშენე ეკლესიაი მაყუალოვანსა შინა ნინოისა და ვქმენ მას შინა საქმე ქმნული უჩინო“. სხვა ავტორები არიან: „სეფე ქალაქ შრომშანა“, სალომე უჯარმელი და სივნიელი პეროოავრი, სიდონია, აბიათარი და სხვ. აღსანიშნავია, რომ უძველესი სამწერლო ძეგლების მოწმობით ნინო (IV ს.) არამცთუ ამბის უბრალო მთხრობელია, მან თავგადასავალი უამბო თავის მოწაფეებს — სალომე უჯარმელსა და პეროოავრ სივნიელს), არამედ „სწავლანისა“ — და „ნათელთათვის“, მთქმელია. ეს მაცდუნებელი ცნობაა და, რაკი გრიგოლ ნაძიანძელსაც (V ს.) დაუწერია ასეთივე თხზულება, რატომ არ შეიძლება ამავე თემაზე ნინოსაც დაეწერა.

არსებობს „მირიანსა და მეფე კოხტაკნინეს შორის მიწერ-მოწერა“ — ბერძენთა იმპერატორო უბრუნებს მირიანს მძევლად წაყვანილ შვილს.

ფარნავაზი (IV-III სს.) რომ მხოლოდ ლეონტის ფანტაზია არ არის და იგი, ერთი ჩვენი ისტორიკოსის თქმით, მხოლოდ რედაქტორია მის მიერ ძველი საუკუნეებიდან ამოღებული ფოლკლორული და ლიტერატურული წყაროებისა (ს. კაკაბაძე, რ. ბარამიძე), ეს ფაქტი უნდა იყოს.

ასე თუ ისე, იაკობამდე (V ს.) მართლაც არსებულა ქართული მწერლობა და რა ვქნათ, რომ მისი დიდი ნაწილი ჩვენამდე ფრაგმენტებად არის მოღწეული.

მე მინდა ვისაუბრებლო შემთხვევითი და აღვუდგინოთ იაკობს ნამდვილი სახელი (როგორც ეძახდნენ მას ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებამდე და როგორც ეს დამოწმებულია უმაღლესი და სპეციალური განათლების სამინისტროს პროგრამებში) კაცმა არ იცის, სად იყო ცურტავი; 506 წელს უთუოდ ერთი იაკობი იყო და ის უნდა ყოფილიყო ცურტავის ეპისკოპოსი? „იაკობ ხუცესს“ რით სჯობს „იაკობ ცურტაველი“-ეპისკოპოსი? დავტოვოთ იაკობი, უკეთ იაკობ ქართველი, რადგან ამ დროს არა ერთი სხვა ქართველი და არა ქართველი იყო ცნობილი იაკობის სახელით, იაკობ „ქმა უფლისა“ ღვინის კრების მონაწილე და სხვა.

წერილი მინდა დავასრულო მარქსის სიტყვებით:

„ჰადარა წარსული ყველა მდუმარეობაში დარჩება ყოველი მომავალი თაობისათვის საინტერესო ეპოქად, რადგან ის გამოხატავს, საფუძველს უფრო მაღალი განვითარებისათვის“.

პროფესორი
ტრიფონ რუხაძე,

ეს რეგბიაა!

სურათზე: დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის რეგბისტთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.
ა. საპაროვის ფოტო.

„მზიურმა“ მოხიბლა მსმენელი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან დაბრუნდნენ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, გოგონების ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური“ და მესამე რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის მოცეკვავეთა ჯგუფი. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა ქართველი ბავშვების გამოსვლები საარის მხარეში, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს დელეგაციის ხელმძღვანელმა ქალაქ თბილისის პარტიის კალინინის რაიკომის მეორე მდივანმა ზ. ლომიძემ.

— თბილისის მოსწავლეთა კონცერტები, — თქვა მან, — დიდი წარმატებით სარგებლობდა. გოგონებმა მუსიკალური სპექტაკლი „ბურატინო“ გერმანულ ენაზე შეასრულეს.

დაგეგმილი ხუთი კონცერტის ნაცვლად ორჯერ მეტი კონცერტის გამართვა მოგვიხდა. ამ კონცერტებს ძირითადად ვმართავდით ლიცეუმებში, საარბრიუკენის საკონცერტო დარბაზში, რომელიც 2000 მაყურებელს იტევს, ღია მოედნებზე, სახელმწიფო თეატრის შენობაში. ერთ-ერთ კონცერტზე, სიმღერა „სულიკოს“ შესრულებისას, მას მთელი დარბაზი აჰყვა. მაყურებლები ადაფრთოვანა ცეცხლოვანმა ქართულმა ცეკვებმა.

როგორც საარბრიუკენისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესა აღნიშნავდა, საბჭოთა კავშირის ბავშვებმა საოცრად მზიური ხელოვნება წარმოადგინეს, მოხიბლეს მსმენელები. მთელი მოგზაურობის დროს ანსამბლს თან დაჰყვებოდა საარბრიუკენის ტელევიზია, ხოლო რამდენიმე გადაცემა მიუძღვნა მას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტელევიზიამ.

ავარია მოხდა, მიზეზი?

ტრამვაი... პუნქტის მაღაზიაში

ალგათ ხშირად განხილულა თბილისის ქუჩებში მოჯირითე ტროლეიბუსი, ავტობუსი, ტრამვაი... სულწასული მათი მძღოლები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თუ ვინ უფრო ადრე მიაღწიოს განიერებულ, რათა მეტი მგზავრი „აჭიროფოს“. ასე იყო ამ რამდენიმე დღის წინათ: შუადღისას ოქტომბრისა და ჩოღრიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე № 11 მარშრუტის ტრამვაი, რომელსაც ვლადიმერ იოსეფის-ძე მარტიაშვილი მართავდა, გადმოვიდა ლიანდაგიდან და პიერის მაღაზიაში შეავარდა. ავარიის გამო ტრამვაიში მსხდომი 22 მგზავრი დაშავდა, აქედან ექვსი საავადმყოფოში მოათავსეს.

ბ. ახალაძე.

ფეხბურთი

ბუდაპეშტის ტურნირზე

უნგრეთის დედაქალაქში საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრების ექვსი ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატი გიასლისი და უნგრელი საქსი, რომელსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ. მაგრამ მათ შეიძლება არათუ დაეწიოს, არამედ გაუსწროს კიდევ მოსკოველმა ბრონშტეინმა. მას 3,5 ქულა, ერთი გადადებული და ერთი გამოტოვებული პარტია აქვს.

მეხუთე ტურში სამივე საბჭოთა მონაწილემ გაიმარჯვა — ბრონშტეინმა მოუკლა რეეს (ჰოლანდია), გიასლისმა — კასტროს (კოლუმბია), გაფრინდაშვილმა — ბლეკსტოკს (ინგლისი). მეექვსე ტურში გიასლისმა ყაჩმოთ დაამთავრა შეხვედრა ბულგარელ სპასოვთან, ხოლო ბრონშტეინმა-გაფრინდაშვილის პარტია არ შედგარა.

ეტენდენტთა მატჩი

ყაზიოთ დამთავრდა ეგიპტეში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების პოლუგაიესკისა და კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის გადაღებული მე-12 პარტია. ანგარიშია 8:4 კორჩნოის სასარგებლოდ.

სტუდენტთა მსოფლიო ოლიმპიადა

გუბინი მექსიკაში სტარტი აიღო სტუდენტთა მსოფლიო 24-ე საზაფხოკო ასპარეზობამ. საბჭოთა გუნდს სათავეში უდგას ლვოველი დიდოსტატი ოლგა რომანიშინი.

გუნდის ექვსი მონაწილიდან ოთხი ლვოველია — რომანიშინის გარდა ესენი არიან დიდოსტატი ალექსანდრე ბელიავსკი, იოსებ დორფმანი და ანდრიან მიხალჩიშინი. დანარჩენი ორი — ერევნელი დიდოსტატი რაფიელ ვაჰანიანი და მოსკოველი სერგეი მაკარიჩევი.

სამნი — რომანიშინი, ვაჰანიანი და ბელიავსკი მონაწილეობდნენ წინა ოლიმპიადებიც. ეს პაპულარული ტურნირი 1954 წლიდან ამართება და საბჭოთა სტუდენტმა მოჭადრაკეებმა უკვე 16-ჯერ გაიმარჯვეს. სპეციალისტების აზრით საბჭოთა სპორტსმენების მთავარი მეტოქეები იქნებიან ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, კუბის, პოლონეთისა და ბრაზილიის მოჭადრაკეები.

სპორტლოტო

სპორტლოტი ლატარიის მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 3-ე ტირაჟის შედეგები, როდესაც 3 აგვისტოს გაიმართა.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი გამოიცნეს პირმსა და ბრიანსკში, მოგების თანხაა 5.000 მანეთი (2 ბარათი); ხუთი გამოცნობილი ნომრისათვის მოგების თანხაა 2.004 მანეთი (45); ოთხი — 47 მანეთი (2.351); სამი — 3 მანეთი (39.867).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ხუთისთვის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგების თანხაა 1.711 მანეთი (24); ოთხი — 37 მანეთი (1127); სამი — 3 მანეთი (19.084).

კალათბურთი

სამ...დან — სამი

იტალიაში, კენჭულ სიცილიაზე, ქალაქ მესინაში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი. ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტთა გუნდმა, რომელიც სოფიის უნივერსიადა-77-თვის ემზადება. მათ ამჯერად ევროპის ჩემპიონი — იუგოსლავიის ნაკრები დაამარცხეს — 86:84 (43:40). ამავე დღეს იტალიელებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიის გუნდს — 70:66 (39:29). საბჭოთა ხაკრები ამ დღეს თავისუფალი იყო თამაშისაგან.

ჩოგბურთი

ევროპის ჩემპიონატი

იუგოსლავიის ქალაქ მარიბორის კორტებზე მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი. ქალთა ერთეულების ნახევარფინალების მოსაწილეა ოთხივე საბჭოთა ჩოგბურთელი — მოსკოველები ოლგა მოროზოვა და ელენა გრანატეროვა, კიეველი მარინე კროშინა და ბაქოელი ეკატერინა ბირიუკოვა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო კროშინას შეხვედრა კონტინენტის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელთან — ჩეხოსლოვაკელ რენატა ტომანოვასთან. გაიმარჯვა კროშინამ — 6:3, 6:2.

ეაჟთა ნახევარფინალების ოთხი მონაწილიდან სამი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელია — თბილისელები ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია, აგრეთვე მოსკოველი ვადიმ ბორისოვი.

ფრენბურთი

წინ ფინალია

საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში გაიმართა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები. საბჭოთა ფრენბურთელებმა დაამარცხეს პოლონეთის გუნდი — 3:1 (13:15), 15:2, 15:6, 15:9), და ფინალში გავიდნენ, სადაც შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, რომელმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოლექტივს სძლია — 3:1.

ცურვა

რეკორდი ოლიმპიურ აუზში

მონრეალის ოლიმპიურ აუზში გაიმართა კახადის იერმეიონატი. კომპლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა გრეგორ სმიტმა, რომელმაც 200 მეტრიანი დისტანცია 2 წუთსა და 05,31 წამში დაფარა. წინა რეკორდი (2.06.08) 1975 წლიდან ეკუთვნოდა ბრიუს ფორნსის (ამერიკელები „ტატები).

სმიტი 19 წლისაა. იგი უკვე მონაწილეობდა ოლიმპიურ ასპარეზობაში — მოხრეალში მეოთხე იყო ბრასის სტილით ცურვაში, მეხუთე — კომპლექსურ ცურვაში 400 მეტრზე და შედიოდა კანადის ხაკრებში, რომელმაც ვერცხლი მოიპოვა კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 მეტრზე.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.

ეროვნული პროგრამით

8 აგვისტო

10.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი ლ[illegible] სოფელი“ (ფერადი), 11.30 — მხატვრული ფილმი „მაიორი ჰუზალი“ (I სერია), 17.00 — დოკუმენტური ფილმი „შეიდი ნაბიჯი ჰორიზონტს მიღმა“ (ფერადი), 18.15 — მოსწავლეთათვის „მეგობრობის კონცერტი“ — მოლდავეთის ტელევიზიის პროგრამა (ფერადი), 18.45 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.05 — „ლიტერატურული გმირების მეორე დაბადება“ — მხატვარი გუსტავ დორე — განმეორებით, 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ბურიონუშკა“ (ფერადი), 19.55 — „ეჯიბრებ იან ვოლოდის ოლქის მშრომელებს“ (ფერადი), 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „ხალხური მუსიკის საუნჯე“ — განმეორებით (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „სამშობლოს ჯარისკაცი“, 23.55 — ახალი ამბები.

9 აგვისტო

10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „კარაჩინგილი“ და „კარპატული ესკიზები“ (ფერადი), 11.20 — მხატვრული ფილმი „მაიორი ჰუზალი“ (II სერია), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „ზღაპარი იწყება“ — (ფერადი), 18.00 — მოსწავლეთათვის — „ჩემი სამშობლოს დღე“ — (ფერადი), 20.45 — განვითარავთ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს — (ფერადი, მოსკოვიდან); 21.00 — ჩვენი ბიოგრაფია — „1961 წელი“ — (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — სპორტული პროგრამა, 23.00 — კონცერტი, 23.40 — ახალი ამბები.

10 აგვისტო

10.30 — მხატვრული ფილმი „ეზაანბეიული“, 11.45 — დოკუმენტური ფილმი „პროტესტანოვი“, 17.00 — ბავშვებისათვის ფერადი მხატვრული ფილმი „ბაზიო დოკუმენტური ფილმი „გაუფრთხილდეთ ყვავილს“, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ტელემაყურებელი გვეკითხება, 18.30 — „ჩვენი ბოგრაფია“ — „1962 [illegible] ზაციური (დაბადებიდან 100 წლისთავის [illegible]), 18.45 — ქართული მხატ[illegible] „[illegible]ბალადა“, 20.10 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „განვიხილავთ საბჭოთა კონსტიტუციის პროექტს“ — (ფერადი მოსკოვიდან), 21.00 — ჩვენი ბიოგრაფია — „1962 წელი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „ეპოქა“, 23.10 — კონცერტი, 23.45 — „ოლიმპიადა-80“ (ფერადი, მოსკოვიდან).

13 აგვისტო

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ბბა დამაცადე“ — III და IV გამოშვება, 10.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯობა „როვენიკ“, 11.10 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 11.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ (ფერადი, მოსკოვიდან), 12.00 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა, 13.00 — „დღეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეა“ — (სტუდიაში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი (ფერადი, მოსკოვიდან), 13.10 — „მეგობრობის კონცერტი“ — განმეორებით, 14.10 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (ფერადი, მოსკოვიდან), 14.40 — მხატვრული ფილმი „დიდი მთხრობელის სიდუმლო“, 15.50 — უკრავს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი — (ფერადი), 16.20 — დოკუმენტური ფილმი „საიაური სტარტები“ (ქართულ ენაზე), 16.30 — „სპორტლოტოს ტირაჟი“ — (ფერადი), 16.40 — „ცხოველთა სამყაროში“ — (ფერადი, მოსკოვიდან), 17.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორმეტისათვის, 18.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მექანიზმი „არც ერთი სიტყვა ფეხბურთის შესახებ“, 18.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალვას სიმღერები“, 18.30 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, 19.00 — კონცერტი, 19.25 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — („დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის“ — „საბჭოთა ლიტვა“, (გადაცემაში მონაწილეობს ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. პ. გრიშკიავიჩუსი — (ფერადი, მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „ეპოქა“, 23.10 — „ეკონომიკა“ — (ფერადი, მოსკოვიდან), 23.45 — „ოლიმპიადა-80“ (ფერადი, მოსკოვიდან).

14 აგვისტო

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — „ზაოამბე“ (ფერადი, მოსკოვიდან), 11.00 — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს“ — საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი, ინჟინერი, ლენინური პრემიის ლაურეატი ა. ვ. გელოვანი (ფერადი, მოსკოვიდან), 12.00 — მხატვრული ფილმი „მე მყვინთავი ვარ — 2“ (ფერადი), 13.20 — კინოფაფა, 13.50 — ბავშვებისათვის „მხიარული სასტუმრო“ განმეორებით (ფერადი), 14.25 — „კინოს მოყვარულთათვის“, 15.35 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 16.05 — „ახალგაზრდობა იმედი ხვალის“ — პოეტი თ. ბეჭიშვილი — განმეორებით (ფერადი), 16.30—„ღღეს — მშენებლის დღეა“ (სტუდიაში — საბჭოთა კავშირის სამრეწველო მშენებლობის მინისტრი ა. ბ. ტოკარევი) (ფერადი, მოსკოვიდან), 17.00 — კოსმოსური ტელეხიკა სახალხო მეურნეობის სამსახურში, 17.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეერის პოლიტიკური ინსტიტუტის ვოკალური ტრიო“ (ფერადი), 17.45 — „ინდოეთი“, ისტორია და თანამედროვეობა“ (ქვეყნის დამოუკიდებლობის 30 წლისთავის გამო) (ფერადი მოსკოვიდან), 18.05 — ხუთშაბათის მოწინავე ხაზზე — სატელევიზიო პროგრამა, 18.45 კონცერტი, 19.15 — „კინომოგზაურობის ალუბი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 20.15 — განვიხილავთ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის. პროექტს“ (ფერადი მოსკოვიდან), 20.25 — „ზოამბე“ — (საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — უფროსებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, „მოსკოვი-პარიზი“, — 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — კინოს სამყაროში.

ეროვნული პროგრამით

6 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის — მუსიკალური ზღაპარი — „მაიმუნი ჩიკი“. (ფერადი, მოსკოვიდან), 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (ფერადი, მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ (ფერადი, მოსკოვიდან, 12.05 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „აუ-უ!“ (ფერადი), 13.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეთხუთმეტე ზაფხული“, 13.35 — „კომპოზიტორი ბელა ბარტოკი“ (განმეორებით), 14.10 — „საუკუნის მშენებლობა“ — დოკუმენტური ფილმი „მატარებელი ნომერი პირველი“ (ქართულ ენაზე), 14.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თეთრი აგარაკი!“, 15.15 — სპორტლოტოს ტირაჟი. (ფერადი. მოსკოვიდან), 15.25 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (ფერადი, მოსკოვიდან), 15.55 — „მსოფლიოს ქალაქი-მუზეუმები“, 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორმეტისათვის, 17.15 — „დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის“, „მაქსიმ გორკის რევოლუციური რომანტიზმი“, 18.00 — რეგბი — საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ პრიზზე — სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ნაკრები გუნდები. (ფერადი), 19.30 — კონცერტი „სტუმრად ქელიაზოვა ვოლიაში“ (ფერადი. განმეორებით), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — საერთაშორისო დღიური. 20.40 — „განვიხილავთ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს“ (ფერადი, მ